

შრომითი ინსპექციის ინსტიტუციური განვითარება

ლუიზა რჩეულიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლუიზა რჩელიშვილი

30.06.2019

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების, როგორცაა თანასწორობის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, შრომის თავისუფლება და სხვა, მნიშვნელოვანია გონიერი სახელმწიფოებრივი მიდგომა, მყარი სამართლებრივი ბაზა, კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა და ეფექტური ინსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს ამ ღირებულებების დაცვას. სწორედ ასეთ ინსტიტუციას წარმოადგენს საქართველოში შრომის ინსპექცია.

წინამდებარე ნაშრომი ორიენტირებულია, წარმოაჩინოს ინსპექციის ინსტიტუციური განვითარების მექანიზმი, საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში. მიმოხილულია შრომითი უფლებების დაცულობის კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარება, მაკონტროლებელი ორგანოს მოქმედების ეროვნულ საკანონმდებლო ბაზა, მისი მანდატი და უფლებამოსილებები. ასევე, საუბარი შეეხება ინსპექტირების მოქმედ მოდელს და უახლოეს წარსულში არსებულ გამოცდილებას.

შრომითი ინსპექტირების სფეროში უცხო ქვეყნების პრაქტიკის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების მიმოხილვით, მოცემულია შედარებითი ანალიზი საქართველოს მიერ აღებული და არაღიარებული შრომითი უფლებების სტანდარტების, მათი აღსრულების ეფექტურობის ზრდის წინაპირობების შესახებ. ნაშრომში მოყვანილია ამ კუთხით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების პრეისტორია, თანმდევი სამართლებრივი ნაკლოვანებები და დღეს არსებული რეალობა, რაც გამყარებულია ოფიციალური ინფორმაციით და სტატისტიკური მონაცემებით. ვრცლად არის აღწერილი საკანონმდებლო ბაზა, მისი ევოლუცია ასევე, ის ხარვეზები, რაც წარსულში მოქმედ, დღეს არსებულ და სამომავლოდ ასამოქმედებელ სამართლებრივ ნორმებს გააჩნია. აქცენტი გაკეთდა იმ პრობლემებზე, რომელთა გააზრებისა და გამოსწორების გარეშე, რთული იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული შრომის ინსპექციის არსებობა.

საკვანძო სიტყვები: შრომითი უფლებების გარანტირება, განვითარება.

Abstract

For protection of fundamental rights guaranteed by the Constitution of Georgia, such as the right of equality, freedom of labor, health protection and others, it is important to be a reasonable state approach, implacable legal base, well conceptualized action plan and an effective institution, which ensures the protection of these values. Exactly the Labor inspection is the such institution in Georgia.

The present work is orientated on showing the institutional development mechanism of the Inspection in the context of international commitments recognized by Georgia. There is reviewed the situation in the country with respect to labor rights protection, national legislative base of the controlling body, its mandate and authorities. Also there is discussed the current model of inspection and experience of the recent past.

By reviewing the practice of foreign countries in the field of inspections and the conventions of the International Labour Organization, there is presented a comparative analysis on the labor rights standards undertaken and unrecognized by Georgia, prerequisites of improvement of efficiency while their execution. The work presents prehistory of steps made by Georgia in this regard, accompanied legal shortcomings and current reality, which is firm by official information and statistical data. There are described in details the legislative basis, its evolution and blemishes in the legal norms, which were active in the past, are existing currently and are to be put into action in the future. The emphasis has been made on the problems, without understanding and correcting of which, it will be difficult existence of the labor inspection, which will be close with the international standards.